



MES 1 20 0000639484



28/07/2020

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 19/06/2020

სხდომის დაწყების დრო 12:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო 13:15 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ოკრიბელაშვილი

საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

დავით ჭეიშვილი - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;

თამარ ვეფხვაძე - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

ელგუჯა მელაძე - ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი.

აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ ტუფინაშვილი - შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - აკრედიტაციის საბჭოს წევრი;

ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - აკრედიტაციის საბჭოს წევრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლაშა მარგიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	ანა ლელაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:

კონსტანტინე თოფურია - რექტორი;

სოსო გოგილიძე - პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში;

ნანა ბურდული - პროგრამის ხელმძღვანელი;

არჩილ ჯანგირაშვილი - აკრედიტაციის განყოფილების უფროსი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁷ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობით აკრედიტაციასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობით აკრედიტაციასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა.

1. პირველი საკითხი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობით აკრედიტაციასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3.	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
4.	სწავლების ენა	ქართული
5.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
6.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	26/03/2020

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხილება

✓ არა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარს და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა გადიდო წინა, 18 ივნისის სხდომაზე, ვინაიდან საბჭოს მოსაზრებით, საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მიზანშეწონილი იყო საბჭოს წევრებს მოესმინათ აკრედიტაციის საბჭოს წევრების მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საჩივარი ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №36 გადაწყვეტილებას, კერძოდ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამისათვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭებას. ნინო ოკრიბელაშვილის განმარტებით, 18 ივნისის სხდომაზე საბჭომ მოისმინა დაწესებულების არგუმენტაცია, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ სხდომას არ ესწრებოდა აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენელი და ამავდროულად გარკვეული საკითხები საჭიროებდა დაზუსტებას და დასაბუთებას, საკითხის განხილვა საბჭოს წევრებთან შეთანხმებით გადაიდო 2020 წლის 19 ივნისისათვის, ხოლო ცენტრს დაევალა აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენლის განხილვაში მონაწილეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ვინაიდან, მიმდინარე სხდომას ესწრებოდა აკრედიტაციის საბჭოს სამი წევრი, სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარეს, ირაკლი ბურდულს წარმოედგინა მისი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება და მით უფრო საგანმანათლებლო სფეროები არის საკმაოდ ფართო. თუ მოხდება თითოეული საკითხის დარგობრივად შესწავლა, ასეთ შემთხვევაში აკრედიტაციის საბჭო უნდა შედგებოდეს ასობით წევრისგან. თუკი აკრედიტაციის საბჭო საკითხის განხილვისას მიიჩნევს, რომ გარკვეული შინაარსობრივი საკითხების ან თემატიკის დაზუსტებისათვის მას საკუთარი კომპეტენცია არ კმარა, მას კანონმდებლობით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება სთხოვოს ცენტრს გამოყოს დარგის სპეციალისტი და ასეთი შემთხვევები ყოფილა უხვად გასულ წელს. აღნიშნული გახლავთ უშუალოდ საბჭოს დისკრეცია.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კითხვა რომელიც გაუჩნდათ აკრედიტაციის საბჭოს წევრებთან სხდომის მონაწილეებს შეიძლება ფორმულირდეს შემდეგნაირად: სხდომის მსვლელობისას საგანმანათლებლო პროგრამებში კონცენტრაცია/ბლოკების შესახებ წარმოიქმნა დისკუსია. მიუხედავად უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული მოსაზრებები. ასევე აღსანიშნავია, რომ კონცენტრაციის შესახებ რჩევა ფიგურირებს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც, რაც დაწესებულებამ მიიღო როგორც რჩევა და დაადასტურა ხელმოწეროთაც. აკრედიტაციის ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე ასევე აღნიშნა, რომ რჩევის სახით შეიტანა დოკუმენტში განხორციელებულიყო ტერმინოლოგიის ადაპტირება. მან სთხოვა აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება აღნიშნულ საკითხებზე.

ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ საბჭოს მუშაობის საუკეთესო პრაქტიკა გახლავთ ის რომ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ექსპერტები წარმოადგენენ დასკვნას და როგორც ცნობილია დასკვნა სრულდება ფორმალიზებული სტანდარტების ჩაშლით, თუმცა ამავდროულად დასკვნაში არის შინაარსობრივ მახასიათებლები ანუ როგორ და რატომ მივიდა ექსპერტთა ჯგუფი პროგრამის სტანდარტთან შეფასებამდე. არის შემთხვევები როდესაც შინაარსობრივად დასკვნა არის მძიმე, მაგრამ ეს ფორმალიზებულად არ აისახება სტანდარტების შეფასებაში. როდესაც პროცესის მონაწილეები აწყდებიან ასეთ საკითხს, ყოველმხრივ გამოიკვლევინ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა არსებით გარემოებას და მიდიან დასკვნამდე, რომელიც ასევე არის მათი დისკრეცია, რომ ის რაც შინაარსობრივად ექსპერტებს უწერიათ დასკვნაში უნდა აისახოს ფორმალიზებულად და სწორად სტანდარტის შეფასებაში. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ სრულმა შესაბამისობამ ჩამოიწიოს ქვევით ან პირიქით. საბჭოს ჰქონია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შეუსაბამო დასკვნები აუწევია შესაბამისობამდე. აღსანიშნავია, რომ თავად არ ესწრებოდა იმ სხდომას სადაც განიხილეს აღნიშნული საკითხი, მიუხედავად ამისა მას შემდეგ რაც ის გაეცნო სააპელაციო საჩივარს და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, მისთვის ნათელი გახდა შინაარსობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე, თუ რატომ მოხდა ზოგიერთი რჩევის რეკომენდაციის რანგში მოაზრება. შესაბამისად, აღნიშნულიდან

გამომდინარე სტანდარტების ფორმალური მოთხოვნები ჩამოიწია მეტწილ და ნაწილობრივ შესაბამისობაზე. შემდეგ უკვე კანონმდებლობის თანახმად საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პირობითი აკრედიტაციის შესახებ.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ დოკუმენტაციას ახლდა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის თაობაზე წერილი, სადაც დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა რჩევას. პირველი რჩევა ეხებოდა სწორედ კონცენტრაციების საკითხს. კერძოდ ის, რომ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამაში კონცენტრაცია არ უნდა ითვალისწინებდეს არა უმეტეს 30 კრედიტს და საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით სასურველია მოხდეს სტანდარტთან პროგრამის ადაპტაცია. შესაბამისად, როგორც გამოიკვეთა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროგრამა არ იყო ადაპტირებული სტანდარტთან, რაც რეგულირდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მეექვსე მუხლის მეშვიდე პუნქტით, რაც გულისხმობს უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების კონცენტრაციების რეგულირებას. ვინაიდან დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ რჩევას, ზეპირი მოსმენის დროსაც მოისმინეს დაწესებულების პოზიცია, რომ რჩევა გათვალისწინებული იქნებოდა. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, სამი სწავლის შედეგის აუცილებლობა გაწერილია საერთაშორისო დოკუმენტით და შემდგომ არის გადმოტანილი და მოიცავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. შესაბამისად სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არ იყო თავსებადი ზემოაღნიშნულ დოკუმენტთან და სწავლის შედეგებთან.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა, რომ თავად სააპელაციო საჩივარში დაწესებულება მიუთითებს, რომ პროგრამას არ გააჩნია კონცენტრაციები და კომპონენტები არის დაჯგუფებული თემატურად ბლოკების სახით. სწავლის სფეროების კლასიფიკატორში, სადაც კონცენტრაციის განმარტება არის მოცემული აღნიშნულია, რომ კონცენტრაცია/კონცენტრაციები გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების, საგნების, მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე, საკითხზე ფოკუსირებით. რეალურად არ აქვს მნიშვნელობა აღნიშნულს დაერქმევა კონცენტრაცია, ბლოკი თუ მოდული, ვინაიდან საუბარი ეხება ერთსა და იმავე საკითხზე, კერძოდ ძირითად სწავლის სფეროში შემავალი კურსების დაჯგუფებას ერთსა და იმავე თემატიკაზე. კონცენტრაციების კრედიტების რაოდენობა იზღუდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორით და იზღუდება იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ბაკალავრიატი ორიენტირებული უნდა იყოს სტუდენტისათვის ფართო ცოდნის მიცემაზე. აღნიშნულ ბლოკებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სწავლის შედეგი და ასახული უნდა იყოს პროგრამის სწავლის შედეგში და ის გავლენას არ უნდა ახდენდეს კვალიფიკაციის დასახელებაზე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რჩევიდან გამომდინარეც საბჭომ მიიჩნია რომ პროგრამაში არსებული სამი ბლოკი არის კონცენტრაცია და ის უნდა აკმაყოფილებდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორში მოცემულ მოთხოვნებს. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, ეროვნული კვალიფიკაციების განახლებული ჩარჩო დამტკიცდა 2019 წლის აპრილში და დაწესებულებებს მიეცათ იმის შესაძლებლობა, რომ 2020 წლის 29 თებერვლამდე წარმოედგინათ სააკრედიტაციოდ პროგრამები ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების მიხედვით. „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, კვალიფიკაცია არის ფსიქოლოგიის ბაკალავრი, კვალიფიკაციის კოდი არის 0313, რომელიც გათვალისწინებულია ახალ კლასიფიკატორში. როდესაც საბჭო ხედავს ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით წარმოდგენილ პროგრამას, არის მოლოდინი რომ პროგრამა თავისი შედეგებითაც უნდა იყოს შესაბამისი ახალ ჩარჩოსთან. სასწავლო კურსების შედეგები ჩაშლილია 6 კომპეტენციად, აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ ჰქონდათ შესაბამისი დონის შედეგები და მნიშვნელობა არ ჰქონდა როგორ დაიწერებოდა კომპეტენციები. აღსანიშნავია,

რომ საბჭო არ ედავებოდა დაწესებულებას შედეგების გაწერის მეთოდზე, საუბარი იყო ფორმალურ საკითხზე, რომ შედეგები სამივე კომპეტენციას უნდა მოიცავდეს. მოცემულ შემთხვევაში, აკრედიტაციის საბჭოს წევრებმა პროგრამით გათვალისწინებულ ექვს კომპეტენციად წარმოდგენილ სწავლის შედეგებში ვერ დაინახეს ახალი ჩარჩოთი გათვალისწინებული ერთ-ერთი შედეგი - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. თამარ ტუფინაშვილის მოსაზრებით, განსაკუთრებით ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამისათვის პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის უნარი არის ძალიან მნიშვნელოვანი, რაც ასევე ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ქვაკუთხედაა. სწორად აქედან გამომდინარე მოხდა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით კომპონენტის შეფასების დაწევა, რამაც გამოიწვია საბჭოს მიერ დამატებითი რეკომენდაციების გაცემა რის საფუძველზეც პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია.

ნიკა თიკანაშვილმა დამატებით განაცხადა, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით ყველა დონესთან მიმართებით განსაზღვრულია კვალიფიკაციის დონე, რაც გაწერილია აღნიშნულ დოკუმენტში საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით. უმნიშვნელოვანესი მომენტი მდგომარეობდა იმაში, რომ მეექვსე დონეზე გაიცემა ბაკალავრის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, დიპლომი, რომლის დანართში აუცილებლად აისახება სწავლის შედეგები და უნარები. გასათვალისწინებელია დიპლომის საერთაშორისო დონეზე აღიარების საკითხიც.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე თოფურიამ განაცხადა, რომ მას სურვილი აქვს ცენტრის წარმომადგენელი დაესწროს განხილვას და დაადასტუროს გარკვეული გარემოებები. ის ისაუბრებდა კონცენტრაციებზე, რაც მისი მოსაზრებით უნდა ყოფილიყო უფრო მარტივად გასაგები, თუმცა როგორც აღმოჩნდა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდანაც გამომდინარე აღნიშნული საკითხი კვლავ გაურკვეველი რჩება. როდესაც ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მეექვსე მუხლში წერია, რომ კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 30 კრედიტს და მას გააჩნია სწავლის შედეგები. მათ გაწერილი აქვთ საგნები თემატურად იმისათვის რომ სტუდენტს გაუადვილდეს გაგება. ბლოკები არ შეიძლება განსაზღვრებიდან გამომდინარე ჩაითვალოს კონცენტრაციად, ვინაიდან კანონი კონცენტრაციად განსაზღვრავს საგნების ისეთ ჩამონათვალს, რომელსაც გააჩნია სწავლის შედეგები და რომლის კრედიტების რაოდენობა არ აღემატება 30 კრედიტს. არ არის ლოგიკური იმაზე საუბარი რომ საგნების ჩამონათვალი, რომელსაც არც სწავლის შედეგი გააჩნია და არც კრედიტების რაოდენობა აღემატება 30 კრედიტს მიჩნეული იყოს კონცენტრაციად.

ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის ბლოკები არ იყო კონცენტრაციები, რატომ დაეთანხმა დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახულ რჩევას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე თოფურიამ განაცხადა, რომ დაწესებულება არ დაეთანხმა აღნიშნულ რჩევას, ექსპერტმა მათ ურჩია ბლოკები ჩამოეყალიბებინათ კონცენტრაციებად, რაზეც დაწესებულებამ განაცხადა, რომ მომავალში შესაძლებელი იყო რჩევის გათვალისწინება, ვინაიდან თავად რჩევის ხასიათიდან გამომდინარე ის არ არის სავალდებულო ხასიათის.

ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ ზეპირ მოსმენაზე ექსპერტმა დააფიქსირა მოსაზრება და განაცხადა, რომ პროგრამის კონცენტრაციებს მინიჭებული აქვს იმაზე მეტი კრედიტები ვიდრე ეს არის გათვალისწინებული კანონით. დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე თოფურიამ კიდევ ერთხელ განმარტა რომ პროგრამაში არ არის კონცენტრაციები და თავისი

შინაარსიდან გამომდინარე პროგრამაში გათვალისწინებული ბლოკები ვერ იქნება კონცენტრაციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა კონცენტრაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ განსაზღვრებიდან გამომდინარე მოდიან საბჭოს წარმომადგენლები წინააღმდეგობაში. თუ საუბარი ეხება რჩევას, რჩევის არსობრივი მხარე ცნობილია. საბოლოო ჯამში, დაწესებულებამ უშუალოდ ვიზიტის დროსაც განუცხადა ექსპერტებს რომ შესაძლებელი იყო დაწესებულებას ეფიქრა კონცენტრაციების შექმნაზე პროგრამაში, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავდა ავტომატურად მათ უპირობო თანხმობას. მნიშვნელოვანია, რომ მათ ვერც მიმდინარე სხდომაზე ვერ მოისმინეს რეალური ფაქტორი თუ რატომ იქნა აღნიშნული რჩევა ფორმულირებული რეკომენდაციად საბჭოს წევრების მიერ. მან მაღლობა გადაუხადა თამარ ტუფინაშვილს, ვინაიდან მან აღნიშნა ისეთი საკითხი, რომელიც მას თავად უნდოდა რომ აღნიშნა, კერძოდ, პროგრამის კომპეტენციები გაწერილია შესაბამისი დონის მიხედვით, აღნიშნული სამართლებრივად ამყარებს დაწესებულების პოზიციას, ასევე აღინიშნა, რომ სტრუქტურული დისკრეცია გახლდათ დაწესებულების უფლებამოსილება. რაც შეეხება განცხადებას იმის თაობაზე, რომ არ ჩანს პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის კომპონენტი, ეს არ გახლავთ სამართლებრივი თვალსაზრისით სავალდებულო კომპონენტი. ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო კომპეტენციების მატრიცა, სადაც ნათლად ჩანდა კონკრეტული კომპონენტი. მისი განმარტებით, სხდომაზე საკითხები არ იყო დასმული, შესაბამისად არ შექმნილა სამართლებრივი მოლოდინი მიღებული გადაწყვეტილებისა. ასევე არც აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში არ იყო მოყვანილი შესაბამისი დასაბუთება თუ რომელ კომპონენტში დაფიქსირდა ხარვეზი და რატომ შეიცვალა რჩევები რეკომენდაციებად. ასევე საინტერესოა თუ ეხლა იკვეთება ასეთი პრობლემები, როგორ მოხდა რომ იგივე საბჭომ, იგივე სტრუქტურით წარმოდგენილ სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს მიანიჭა სრული აკრედიტაცია. შესაბამისად მათი სურვილია სააპელაციო საბჭოს დაანახონ პრაქტიკაში არსებული შეუსაბამობები და ალოგიკურობა, რაც იკვეთება აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში.

ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ არა მხოლოდ აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით, სხვა პროგრამებთან მიმართებითაც საბჭოზე ყოველთვის ჩნდებოდა კითხვა 6 კომპონენტიანი სწავლის შედეგიდან ზუსტად რომელი კომპონენტი შეესაბამება ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი დადგენილ პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის კომპეტენციას. საბჭომ არაერთხელ მიმართა დაწესებულებას თხოვნით მიექციათ ყურადღება აღნიშნული საკითხისათვის. ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ სხდომაზე ნამდვილად აღინიშნა, რომ პროგრამა შეესაბამება მეექვსე დონეს, შინაარსთან არ არის პრობლემა, თუმცა დაწესებულებამ უნდა დაუკავშიროს სწავლის შედეგები ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილ სამ კომპეტენციას, იმისათვის რომ მოხდეს დიპლომის დანართის აღიარება საერთაშორისო დონეზე.

თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის აღწერილობის თანახმად, პროგრამის ძირითადი საგნები მოიცავს 168 კრედიტს, პროგრამა დაყოფილია სამ ბლოკად კლინიკური ფსიქოლოგიის ბლოკი, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია და განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია. აღნიშნული არის სწავლის სფეროს შესაბამისი კურსები, რომელიც დალაგებულია გარკვეული თემატიკით. გამომდინარე იქედან, რომ თითოეული აღნიშნული კურსების ჩამონათვალი არის 54 და სტუდენტს შეუძლია 24 საგნის აღება და დარჩენილი კრედიტების ხარჯზე დამატებით შეუძლია ბლოკიდან რომელიმე საგნის არჩევა, გამოდინარე იქედან რომ ბაკალავრიატის სტუდენტს ეძლევა ფართო ცოდნა, სამივე ბლოკში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული თუ რა რაოდენობის კრედიტებზეა ლაპარაკი, რათა მოხდეს ზუსტად ფართო ცოდნის მიცემა და არა რომელიმე კონკრეტული მიმართულებით სპეციალიზება.

შესაბამისად აღნიშნული ბლოკები აღქმულია, როგორც საგნების დაჯგუფება, სადაც განსაზღვრული უნდა იყოს სწავლის შედეგი და კრედიტების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მეექვსე მუხლის მეხუთე პუნქტი მას აძლევს საშუალებას ზუსტად იმ სტრუქტურით ააგოს პროგრამა, როგორც არის წარმოდგენილი და თამარ ტუფინაშვილის მოსაზრება არ გახლავთ აპრიორი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე თოფურიაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამა შედეგზე გადის ძირითადი კომპონენტებით, რაც შეეხება არჩევით კომპონენტებს, რომელიც როგორც უკვე არაერთხელ აღნიშნა დალაგებულია თემატურად, განსაზღვრებიდან გამომდინარე ვერ იქნება კონცენტრაციის სახით წარმოდგენილი.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მან უკვე დააფიქსირა მოსაზრება წინა მოსმენის დროს, შესაბამისად თუ მას აქვს განსახვავებული პოზიცია შეუძლია წარმოადგინოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე თოფურიაშვილმა პირველ და მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამა შინაარსობრივად შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს, რაც შინაარსობრივად დაადასტურეს ექსპერტებმა და მისი მოსაზრებით არც საბჭოს წევრებს აქვთ აღნიშნულთან დაკავშირებით პრეტენზია. საუბარი მიმდინარეობს ფორმალურად, უნდა იყოს თუ არა პროგრამის სწავლის შედეგები ჩაშლილი 6 კომპეტენციად თუ 3 კომპეტენციად. 2019 – 2020 წლის განმავლობაში დაწესებულების 50 პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, ყველა პროგრამა წარმოდგენილი იყო 6 კომპეტენციის მიხედვით. მას შემდეგ რაც „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია, სხვა პროგრამებმა იგივე სტრუქტურით მიიღო სრული აკრედიტაცია. შესაბამისად, ნათელია, რომ შესაძლებელი ყოფილა თუ პროგრამა შინაარსობრივად გადის სწავლის შედეგებზე და კლასიფიკატორის შესაბამის დონის მოთხოვნაზე, პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილი იყოს ექვს კომპონენტად.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ესმის დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია, თუმცა ამჯერად საბჭო არ მსჯელობს სხვა პროგრამებზე და განიხილავს ერთი კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის საკითხს. დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე თოფურიაშვილმა განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭომ უნდა განიხილოს რამდენად სამართლიანი იყო აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება. მისი მიზანია აღნიშნული კუთხით დააფიქროს სააპელაციო საბჭოს წევრები. როდესაც 50 პროგრამას ენიჭება აკრედიტაცია ერთი ფორმით და უცებ საბჭო მათ ეუბნება, რომ იდენტური სტრუქტურის მქონე ერთ კონკრეტულ პროგრამას ვერ მიენიჭება სრული აკრედიტაცია, მათ უჩნდებათ ლეგიტიმური კითხვა, რომ თუ ასე არ შეიძლებოდა პროგრამის წარმოდგენა მათ უნდა სცოდნოდათ ამის შესახებ ან მიეღოთ შესაბამისი მითითება და მოხდებოდა ცვლილებების განხორციელება. ვინაიდან, მსგავსი ინფორმაცია მათ არ ჰქონიათ ლოგიკური იყო, რომ აღნიშნული პროგრამაც წარმოდგენილი იყო არსებული სტრუქტურის და შინაარსის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ლაშა მარგიშვილს დაეფიქსირებინა მისი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ როგორც ცნობილია განახლებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო დამტკიცდა 2019 წელს, გაიწერა კონკრეტული ვადები თუ რა ვადაში

იყო შესაძლებელი პროგრამის წარმოდგენა ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით. ვადა განისაზღვრა 2020 წლის 29 თებერვლამდე. შესაბამისად აღნიშნულ ვადამდე დაწესებულებას ჰქონდა არჩევანის საშუალება - პროგრამა წარმოედგინა ძველი თუ ახალი რეგულაციების მიხედვით. 2020 წლის 29 თებერვლის შემდგომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ყველა პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს ახალ ჩარჩოსთან და კლასიფიკატორთან.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრებისათვის კარგად არის ცნობილი ვადების შესახებ და საბჭო ყოველთვის ხელმძღვანელობს მოცემული მონაცემებით. მისი თქმით „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა სადაო გახდა მას შემდეგ, რაც ის წარმოდგენილი იყო ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების მიხედვით და კვალიფიკაცია ფსიქოლოგიის ბაკალავრი ენიჭებოდა სწორად ახალი რეგულაციის შესაბამისად, მაშინ როდესაც სწავლის შედეგები შეესაბამებოდა ძველ ჩარჩოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ყველა პროგრამა გადამუშავებული იყო ახალი კლასიფიკატორის მოთხოვნების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ პროგრამისა და სწავლის შედეგების სტრუქტურული მხარე კანონით არ იყო სავალდებულო, ხოლო სწავლის შედეგები შემუშავებული იყო კლასიფიკატორის შესაბამისი დონის მოთხოვნებით. ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა არაერთხელ გაიარეს კონსულტაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

12:45 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება
სხდომა განახლდა 13:10 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობით აკრედიტაციის თაობაზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №36 გადაწყვეტილების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებების“ 28⁵ მუხლის პირველი პუნქტისა და 28⁷ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №36 გადაწყვეტილება შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობით აკრედიტაციის თაობაზე.

საბჭოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია დაწესებულების აშკარა უკმაყოფილება. დაწესებულების რექტორმა განაცხადა რომ სააკრედიტაციო საბჭოს მიერ მიღებულ

გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებდა სასამართლოში. დაწესებულების რექტორმა ღიად დააყენა ეჭვქვეშ სააპელაციო საბჭოს წევრების კომპეტენცია.

13:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით

